ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5407715

ნომერი: AR1822920

თარიღი : 28.04.2021

გაცემის თარიღი : 19.05.2021

გაცნობის თარიღი : 19.05.2021

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N6ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საინჟინრო ნაგებობები და კომუნალური ობიექტები
  - გაზსადენი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ელექტრონულად წარმოდგენილი №AR1822920 განცხადებით მომართა მოქალაქე გიორგი ჭუმბურიძემ და მოითხოვა, ქ. თბილისში, ვოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე არსებული გაზსადენის რეკონსტუქციისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა. ვინაიდან ზემოხსენებულ განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტებს აღენიშნებოდათ გარკვეული ხარვეზები, სამსახურის 2020 წლის №5390797 ბრძანებით განმცხადებელს დაევალა დამატებითი და შესწორებული დოკუმენტების 20 დღის ვადაში წარმოდგენა, რაც არ განხორციელდა. ამასთან, არ იქნა ინტერაქტიულ რუკაზე განსაზღვრული სარეკონსტრუქციო გაზსადენის

ტრაექტორია, მოთხოვნის ტექსტში არ იქნა მითითებული წარმადობა. განმცხადებლის მიერ არ იქნა ასევე წარმოდგენილი სარეკონსტრუქციო ნაგებობის საკადასტრო მონაცემები (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად, „თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.“
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, როგორც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელმა ორგანომ, მიიღო გადაწყვეტილება, №AR1822920 განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

განუხილველად იქნეს დატოვებული მოქალაქე გიორგი ჭუმბურიძის განცხადება;

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.